ეკა ძაბარაშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, სამუზეუმო მიმართულება, ისტორიის დოქტორი

სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი - რეექსპოზიცია - განვითარების პერსპექტივა - მოსაზრებები

მოხსენების უმთავრესი მიზანია, სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმის რეექსპოზიციისათვის მზადების პერიოდში განხორციელებული მოძიებითი და კვლევითი მასალის კომპლექსურ კონტექსტში გააზრება, თემატური ინტერპრეტაციისა და არტეფაქტების საექსპოზიციო სივრცეებში განაწილების, ეფექტური ვიზუალიზაციის ხერხების ჩვენეული მოსაზრებებისა და ხედვის შემოთავაზება.

სტეფანწმინდის მუზეუმის სარეაბილიტაციო პროექტის მომზადების პარალელურად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახურმა რეექსპოზიციის გეგმის დამუშავება დაიწყო.

უმთავრეს ამოცანას, მუზეუმის სრულფასოვანი ინფრასტრუქტურის მქონე, ფუნქციურად დატვირთულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად გარდაქმნა წარმოადგენდა. ამ პერიოდში მომზადდა ხევთან და ალ. ყაზბეგთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფია, დამუშავდა საისტორიო წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი.

მოძიებული მასალების საფუძველზე მომზადდა პირველადი კონცეფცია და საექსპოზიციო გეგმა, რომელიც გამოქვეყნდა საკონფერენციო კრებულში „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა I", 2014.



დაბა ყაზბეგში, სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი, ხევის უძველესი ისტორიის, კულტურისა და ტრადიციის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ერთადერთი საშუალებაა.

რეაბილიტაციის შემდგომ ჩვენ მივიღებთ განსხვავებული ფუნქციური დატვირთვის მქონე სამ შენობას - 1. **მემორიალურ მუზეუმს**, რომელიც კოლექციების შინაარსიდან გამომდინარე მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფუნქციასაც ითავსებს; 2. **ვიზიტორთა ცენტრს**, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ სივრცეებს, მრავალფუნქციურ კაფეს (ინტერნეტით უზრუნველყოფილი სუვენირებისა და წიგნების სარეალიზაციო სივრცე) და 3. **ფონდსაცავს**, რომლის ნაწილშიც საექსპოზიციო სივრცეც მოიაზრება. სამუზეუმო კომპლექსის ტერიტორიაზეა განთავსებული ყაზბეგების საგვარეულო ეკლესია და სასაფლაო.

სამუზეუმო კომპლექსის შინაარსიდან და მრავალფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე მუზეუმის სახელწოდება შეუსაბამობაშია მის შინაარსთან. განახლებული მუზეუმის ამოქმედების დროისათვის, სასურველია სტეფანწმინდის ისტორიულ მუზეუმს შეეცვალოს სახელწოდება და ეწოდოს **სტეფანწმინდის სამუზეუმო კომპლექსი.**

ამასთანავე დასამზადებელია მუზეუმის სახელწოდების ამსახველი ეფექტური სამუზეუმო აბრა, რომელიც მიიპყრობს ადგილობრივი თუ უცხოელი ტურისტების ყურადღებას და გააჩენს მუზეუმის დათვალიერების, მასთან შეხების სურვილს.



კომპლექსის უმთავრეს საექსპოზიციო სივრცედ ალ. ყაზბეგის მემორიალური მუზეუმის შენობა განიხილება.

ამ შენობაში ექსპონირების ხირთულე რამდენიმე ძირითადი მომენტითაა გაპირობებული:

- ალ. ყაზბეგის მემორიალური მუზეუმის შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რაც თავისთავად გამორიცხავს ინტერიერში მნიშვნელოვან ჩარევას;
- სივრცეები უმთავრესად მცირე მოცულობისაა;
- არქიტექტურული თვალსაზრისით საკმაოდ სპეციფიურია;
- მემორიალურია (ალ. ყაზბეგის მამაპაპისეული სახლი), მაშინ როდესაც დაცულია ტიპოლოგიური თვალსაზრისით სრულიად განსხვავებული კოლექციები და საექსპოზიციო თემატიკაც ასეთივე არაერთგვაროვანი შინაარსით იტვირთება.

ამ შენობაში საექსპოზიციოდ განიხილება არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, ნუმიზმატური, ქსოვილის (სასულიერო და საერო სამოსი), იარაღის კოლექციები, ქრისტიანული ატრიბუტიკა, მწირი ოდენობით ალ. ყაზბეგის მემორიალური ნივთები. ყველა ეს კომპონენტი, შენობის არქიტექტურულ თავისებურებასთან ერთობლიობაში, ექსპონირების თვალსაზრისით მნიშვნელოვან სირთულეებს ქმნის.

მემორიალური სახლის I სართულის სივრცე ანფილადური პრინციპით, მეტწილად მომცრო ზომის, ბნელი ოთახებითაა წარმოდგენილი.

შემუშავებული ფუნქციური ზონირების გეგმის თანახმად I სართულზე განსათავსებელია საზოგადოებრივი სივრცე, არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, ნუმიზმატური, იარაღის კოლექციები და საკულტო დანიშნულების ნივთები. თითოეულ სივრცეში წარმოდგენილ კოლექციას, შინაარსიდან გამომდინარე, ინდივიდუალური კონცეფცია უნდა გააჩნდეს. ამავდროულად ამ ფაქტორმა არ უნდა შეუშალოს ხელი ერთიან საექსპოზიციო კონტექსტს.

I სართულის ყველა საექსპოზიციო სივრცისთვის გასათვალისწინებელია შემდეგი:

ამ სივრცეში უნდა შენარჩუნდეს ავთენტური ქვითკირის კედლები და ფილაქვის იატაკის გამოვლენილი ადგილები. ასეთი ტიპის სივრცეში განსათავსებელი კოლექციები იხდენს წერტილოვანი პრინციპით განათებულ ღრმა, თანამედროვე ვიტრინებს, თანამედროვე მაუნთს, თითოეული კოლექციიდან გამომდინარე, ინდივიდუალურად შერჩეულ ფონს.

სასურველია მინაწერები დამზადდეს სპილენძისფერ ფირფიტებზე. ამ სივრცეებისათვის საუკეთესოა ძველის და ახლის, კლასიკურისა და თანამედროვე დიზაინის, უახლესი ტექნიკური მიღწევების გამოყენება და შერწყმა. *(მაგ. ავთენტური კედლები და ბეტონის/კირის იატაკი).*

1. არქეოლოგიური კოლექცია

კონცეფცია – არქეოლოგიური მასალის კოლექცია, ყაზბეგის განძი – გათხრის ისტორია;

განათხარი მასალის მნიშვნელობა ისტორიულ–კულტურულ კონტექსტში.

საექსპოზიციო ექსპონატების შერჩევის შემდგომ არქეოლოგიური კოლექციის შესაბამისი საექსპოზიციო დიზაინის განსაზღვრა.

- **ღრმა ვიტრინა (ნიშა), ინდივიდუალური, წერტილოვანი განათება;**
- **ძირითადი ფონი სადა, ფერი ექსპონატების მასალის (უმთავრესად რკინა, ბრინჯაო, ვერცხლი, ოქრო, კერამიკა), შინაარსობრივი სპეციფიკისა და ზომის გათვალისწინებით;**
- **თანამედროვე მაუნთი;**
- **აქცენტირებისათვის წერტილოვანი განათების გარდა სასურველია სადა, ერთიან ფონზე საერთო ტონალობის ცვლილება ან კონტრასტული ლაქების შექმნა.**

მემორიალური სახლის I სართულის კირით მოპირკეთებული სივრცეები ასეთი სახის მინიმალისტურ ვიტრინებსაც მოიხდენს.

- არქეოლოგიურ სივრცეში უმთავრესად ყაზბეგის განძი (ძვ. წ. I ათასწლეული) და მისი აღმოჩენის ისტორია უნდა იყოს აქცენტირებული. სტეფანწმინდის მუზეუმის ფონდში ყაზბეგის განძის უმნიშვნელო ნაწილია შემორჩენილი. საქართველოში დარჩენილი ნაწილი ეროვნულ მუზეუმშია (ჯანაშია, ხელოვნების მუზეუმი) დაცული.

- დიდი ნაწილი XIX საუკუნეშივეა ქვეყნიდან გატანილი და მოსკოვსა და პეტერბურგშია მოხვედრილი (მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურსა და სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟის პირველყოფილი არქეოლოგიის განყოფილებები). ნაწილი ადრევეა დაკარგული.

ამ მიმართულებით, ჩვენის მხრივ განხორციელებული და განსახორციელებელია შემდეგი სამუშაოები:

- შედგენილია ბიბლიოგრაფია და დამუშავებულია ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა;

- ეროვნული მუზეუმის ჯანაშიას მუზეუმის არქეოლოგიური დეპარტამენტის ძირითად ფონდში ჩატარებულია ყაზბეგის განძის სამუშაო ფოტოფიქსაცია. აღინუსხა 199 არტეფაქტი.

- დადგენილია ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდში, საგანძურის განყოფილებაში დაცული მასალის ოდენობა და შინაარსობრივი რაობა. ეს არის ოქროს საკიდები, საყურეები, ბრინჯაოსა და ძვლის ბალთები, მინისებური, მთის ბროლის, ქარვისა და ონიქსის მძივები, ბრინჯაოს ფიბულები, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამაჯურები, რკინის, ბრინჯაოსა და ოქროს ბეჭდები; დაახლ. 60 ერთეული. ეს მასალა გადასაღებია.

ჯამში დაახლოებით 259 ერთეული არტეფაქტია;

- ეროვნული არქივის კინო–ფონო–ფოტო და ეროვნული მუზეუმის დმ. ერმაკოვის ფოტოფონდებში მოძიებულია XIX-XX სს–ის მიჯნის უაღრესად საინტერესო ფოტომასალა. ამ მასალის დიდი ნაწილი განსხვავებულია უვაროვა-რადდეს გამოცემაში არსებული მასალისაგან.

საექსპოზიციოდ ასევე სასურველია არქეოლოგიური მასალის გრაფიკული ჩანახატების დამზადება.

საექსპოზიციოდ და „Touch Screen"-ში ჩასატვირთი ელექტრონული ფორმატისთვის გასათვალისწინებელია შემდეგი:

- ეროვნულ მუზეუმში დაცული ყაზბეგის მასალის ექსპონირებისათვის დროებით გადმოცემა. ამ მასალის საექსპოზიციოდ მომზადება - გასუფთავება, კონსერვირება–რესტავრირება;

- ეროვნულ არქივში მოძიებული ფოტომასალა;

- ყაზბეგის განძის გათხრის ისტორია, ინფორმაცია გათხრების ინიციატორების/მონაწილეების შესახებ, კვლევის შედეგები (ვიზუალური მასალის დართვით), სამეცნიერო ლიტერატურა;

- მოსკოვსა და პეტერბურგში დაცული ექსპონატები - ფოტომასალა.



ნუმიზმატიკური მასალისა და იარაღის კოლექცია

კონცეფცია - ისტორიული გეოგრაფია, სახელმწიფოებრიობის ელემენტები და ატრიბუტიკა

ნუმიზმატური და იარაღის კოლექციიდან საგამოფენო ექსპონატების შერჩევა და საექსპოზიციო დიზაინის განსაზღვრა.

ნუმიზმატური კოლექცია და იარაღის კოლექციები შერეული, ერთმანეთის მოპირდაპირე - მარჯვენა და მარცხენა კედლებზე, ღრმა ვიტრინაში უნდა გამოიფინოს. სასურველია ნიშების მაქსიმალური ათვისება. საერთო ფონი მუქი, თბილი, აქტიური, დინამიური (მაგ. თბილი ნაცრისფერი). მინაწერები სპილენძისფერ ფირფიტებზე შესრულებული, შესაბამისი წერტილოვანი განათება.

ნუმიზმატური კოლექციიდან გამადიდებელი მინითა და განათებით აქცენტირებული დავით აღმაშენებლის მონეტა; დავითის მონეტების აღმოჩენების რუკის დართვით.

იარაღის კოლექციიდან საექსპოზიციო ექსპონატების შერჩევა, რაოდენობის განსაზღვრა.

მეომრის აღჭურვილობისა და XII-XIII სს-ის მახვილის აქცენტირება. მაუნთი - ჰორიზონტალური და ვერტიკალური (მასალიდან გამომდინარე - თოფები, დამბაჩები ხანჯლები, ხმლები, დანები). სტეფანწმინდის მუზეუმის იარაღის კოლექცია მოიცავს 130 ერთეულზე მეტ სხვადასხვა დანიშნულების ექსპონატს.

შუა კედელზე განთავსდეს დიდი ეკრანი, სადაც გრაფიკისა და ანიმაციის მეშვეობით ელექტრონულ ფორმატში ეფექტურად იქნება წარმოდგენილი ხევის თავდაცვითი სისტემა, ციხე-კოშკები, აღჭურვილობა და აღჭურვილი მოხევეები, ბატალური სცენები (გრაფიკა, ფოტო, ანიმაცია).

საექსპოზიციო სივრცისთვის ნუმიზმატური მასალის, იარაღისა და ციხე-სიმაგრეთა გრაფიკული ჩანახატების დამზადება.

„Touch Screen"-ში ჩასატვირთი ელექტრონული ფორმატისთვის გასათვალისწინებელია შემდეგი მასალა:

საქართველოს რუკა, ხევი ამ რუკაზე, დარიალი - სამხედრო გზა. ძველი ფოტომასალის მეშვეობით სამხედრო გზის მარშრუტის ჩვენება, შესაბამისი ინფორმაციის დართვით.

ინფორმაცია იარაღის ისტორიის შესახებ, ვიზუალური მასალის დართვით;

მონეტები და ინფორმაცია მათ შესახებ, ვაჭრობა;

ციხე-კოშკების ეფექტური ესკიზები, ჭრილები, გრაფიკული ჩანახატები;

უძველესი უცხოური წყაროები ხევის შესახებ - სტრაბონი, პლინიუსი და სხვ.

რელიგია ხევში

კონცეფცია – წარმართული რწმენა-წარმოდგენები, ქრისტიანობა

საგამოფენო ექსპონატების შერჩევა და საექსპოზიციო დიზაინის განსაზღვრა.

ღრმა ვიტრინა (ნიშა), ინდივიდუალური, წერტილოვანი განათება; თანამედროვე მაუნთი. ფონი სადა (ზღვის ტალღისფერი).

ეს თემა მოძიება-დამუშავების პროცესშია. მოძიებულია და მოსაძიებელია ექსპონატთა ნაწილი. სადღეისოდ საკულტო დანიშნულების მნიშვნელოვანი ნივთებიდან მუზეუმის კოლექციაში დაცულია ბეთლემის კარი, ხატი, ამ ნივთების ესკიზური ჩანახატები, XIX ს-ის მეორე ნახევრის სასულიერო ხასიათის შესამოსელი (ოლარი, ეპიტრაქილი, საკოსი, ფილონი, საბუხარები) და საეკლესიო დანიშნულების ნივთები (დაფარნა, საწიგნესა და ტრაპეზის საფარებელი) და სხვ.

სასურველია ამავე სივრცეში წარმოდგენილი იყოს წინაქრისტიანული – წარმართული ხევი, უძველესი რწმენა-წარმოდგენები და შესაბამისი ატრიბუტიკა (დასამუშავებელია თემა და მოსაფიქრებელია ვიზუალიზაციის ხერხი);

ასევე, საექსპოზიციო სივრცეში გასატანია შემდეგი თემატიკა: **გიორგი ბრწყინვალე და ხევი – გერგეტის სამება – გერგეტის სულთა მატიანე (ხელნაწერის მულიაჟი) - გერგეტის საყდრისშვილები.** [1]

ელექტრონული ფორმატისთვის გასათვალისწინებელია შემდეგი მასალა:

- **ხევის სასულიერო არქიტექტურის ძეგლები;**
- **რელიგია ხევში (წარმართული და ქრისტიანული)**

  (ფოტომასალა, გეგმები, – ჭრილები, ესკიზები, მხატვრობა)

გერგეტის სულთა მატიანის ერთ-ერთ მინაწერში, რომელიც XVI-XVII სს. თარიღდება, აღნიშნულია, რომ „.... შევიყარენით ჩვენ კრებულნი ერთსულად, დავდევით საჩივარი და კრებულობაი, საყდრის წინაშე განვიკითხენით“ ე. ი. თემს გადაუწყვეტია სამების ტაძართან შეკრების წესად შემოღება. ამ ისტორიულ ფაქტთანაა დაკავშირებული „საბჭეოს“ (XV-XVI სს.) აშენებაც, სადაც იკრიბებოდა ხევის უხუცესთაგან შემდგარი საბჭო.



გერგეტის საყდრისშვილები – გერგეტის „ეკლესიის შვილები“, ცნობილია ხევიდან. აქ სოფ. გერგეტის მცხოვრებნი წარმოადგენდნენ სამების ეკლესიის საყდრისშვილებს. მათი საშუალებით კათალიკოსი მართავდა ხევს. გერგეტელი „საყდრისშვილები“-ს თავისებურება ის იყო, რომ „საყდრისშვილებად“ იყვნენ არა ცალკეული პირები ან მოსახლეობის ჯგუფები, არამედ მთელი სოფელი.

1. გერგეტის სამების ეკლესია ერთადერთი გუმბათიანი ეკლესიაა ხევში. იგი გიორგი ბრწყინვალის მიერ XIV ს. დასაწყისში აშენდა; გერგეტი წარმოადგენდა ხევის ყველაზე პოპულარულ სალოცავს, სადაც საუკუნეების განმავლობაში ფუნქციონირებდა საბჭეო.

კონცეფცია: ხევი – მოხევე – მოხევური ყოფა – ტრადიცია

საგამოფენო ექსპონატების შერჩევა და საექსპოზიციო დიზაინის განსაზღვრა. სასურველია ნიშების გამოყენება. აქცენტები განათებით.

ვიხუმტი ბატონიშვილი ხევის შესახებ – ტექსტის გამოტანა.

ხევის თავისებურება თვალსაჩინოდაა ასახული მის ყოფაში – საცხოვრებელი, გარემო, დეკორატიული სამკაულით შემკული ყოფითი ატრიბუტიკა. მუზეუმში ყოფის ამსახველი მდიდარი ეთნოგრაფიული კოლექციაა დაცული.

კოლექცია იძლევა ექსპოზიციაში შემდეგი თემატიკის გატანის საშუალებას:

- **მოხევური მეურნეობა – სამეურნეო იარაღი;**
- **მოხევური ყოფა;**
- **ნადირობა;**
- **მოხევური კოსტიუმი;**
- **რეწვა.**

ეთნოგრაფიული ექსპოზიციის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ამ სივრცის მაქსიმალურად ცოცხლად წარმოჩენა, სხვა მსგავსი ექსპოზიციებისგან განსხვავებული ექსპონირების ხერხების გამოყენება. საამისოდ მოხევური ყოფის ექსპონირებისას გამოყენებული უნდა იყოს:

- **მოხევური საშაარეულო – მენიუ, შესაძლებელია მოხევური კერძების დამზადების ილუსტრირება (პერის ცხობა, ხინკლისა და სხვა მხოლოდ მოხევური საშაარეულოსათვის დამახასიათებელი კერძების სახეობების დამზადება (სახეობები მრავლადაა – ქადა, შამაკრული, ხაბიზგინი, ნაზუქი, მხლოვანი, ხორცოვნები, ჭეკრის შაჭამანდი, კაპარი, ხამპალაი, ფუშრუკი, ატრიაი, ჯიმლოვანა, ლობიო, ნახშიორაი, ხავიწი, აყიყიქა, ერბო-ხალი).**
- **ყოფითი სცენის რეკონსტრუქცია - საცხოვრისი - მოხევური ტიპაჟები - ოჯახი;**
- **მუზეუმის ფონდში დაცული მოხევური ტიპაჟების ესკიზები და სხვა.)**
- **ნადირობა, მონადირე, ნანადირევი;**
- **რეწვა – დართვა, ქსოვა (ხევისთვის დამახასიათებელი წარმოების პროცესი და პროცესის შედეგი).**

კონცეფცია: მოხევური კოსტიუმი – ეთნოგრაფიული ნაწილის გაგრძელება.

საგამოფენო ექსპონატების შერჩევა და საექსპოზიციო დიზაინის განსაზღვრა, საექსპოზიციოდ გათვალისწინებული მასალის რესტავრაცია.

სასურველია მოხევურ საერო კოსტიუმსა და აქსესუარს დაეთმოს II სართულის ნათელი სივრცე. ხის „გემბანური" იატაკი, სხვადასხვა ტიპის ინსტალაციისთვის სპეციალური მოჭიმული ჭერი.



ინტერიერში არსებულმა ბუხარმა ექსპოზიციის ეფექტურობაზე უნდა იმუშაოს. კედლებზე ფონად შესაძლოა გაკეთდეს მოხევური არქიტექტურის ამსახველი პანოები -გრაფიკული შავ-თეთრი ჩანახატებით (**თეთრზე შავი ან პირიქით შავზე თეთრი**). ამ კონკრეტულ ფონზე რამდენიმე კოსტიუმი სტატიკურ მანეკენზე. განათებამ თითოეული კოსტიუმის ეფექტური დეტალის აქცენტირება უნდა შეძლოს.

კოსტიუმები უნდა მოთავსდეს ირიბად განთავსებულ მინის გამჭვირვალე, გამჭოლ ინდივიდუალურად განათებულ ვიტრინებში. დიდ ეკრანზე მოხევური კოსტიუმებისა და ქართული ეროვნული ცეკვის (მათ შორის მოხევური) კლიპის ჩვენება.

სასურველია კოსტიუმის გაცოცხლება - ქალისა და მამაკაცის ერთი წყვილი ახალი მოხევური კოსტიუმის დამზადება: ორი კარკასული სადგარი, ქალ-

ვაუის სილუეტით, დინამიური მოხევური ცეკვისათვის დამახასიათებელი ილეთის იმიტირება.

ამავე სივრცეში უნდა იყოს ექსპონირებული ფონდში დაცული შესანიშნავი ესკიზები.



ესკიზები განთავდეს ტროსებზე დაკიდებულ, მსუბუქ მოუჩარჩოებელ (ორმხრივ ანუ გამჭოლ) მინებში. ეს სივრცე ასევე მოიხდენს მუსიკალური საკრავების კოლექციას (მუზეუმში კოლექცია მწირია - სასურველია ხევისთვის დამახასიათებელი ძველის მოძიება/ახლის დამზადება);

ამავე სივრცეში - ელექტრონულ ფორმატში მცირე მონიტორი, ჩამონტაჟებული მოხ-ევური ფოლკლორი (მუსიკა, ცეკვა-თამაში, სიმღერა, პოეზია) - სხვადასხვა პროგრამა - აუდიო-ვიდეო ჩანაწერები - ინდივიდუალური მოსმენის შესაძლებლობა.



II სართული

ალექსანდრე ყაზბეგი – პორტრეტი

მუზეუმში დაცული ალ. ყაზბეგის მემორიალური ნივთების სიმრავლით ვერ დავიკვეხნით, სულ რამდენიმეა. კერძოდ, ეს არის ალ. ყაზბეგის საწერი მაგიდა და სკამი, სარკე, საწოლი, წმ. გიორგის ნაქარგი ხატი.

ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში ინახება მისი ბავშვობის პერანგი. ხელოვნების მუზეუმშივეა დაცული გ. ზაზიაშვილის მიერ შესრულებული ალ. ყაზბეგის პორ-

ტრეტი. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში დაცულია ალ. ყაზბეგის მემორიალური სახლის მაკეტი და ყაზბეგის ქანდაკება, საწერი მოწყობილობა და კულა.

მიუხედავად ალ. ყაზბეგთან დაკავშირებული მემორიალური ნივთების სიმცირისა, იმდენად წინააღმდეგობრივია მისი პორტრეტი და ამ თვალსაზრისით საინტერესო, რომ იძლევა ინტერპრეტაციისა და თანამედროვე ხერხებით საინტერესო ვიზუალიზაციის საშუალებას.

ამ ორ (მცირე და დიდი მოცულობის) სივრცეში გასატანი საექსპოზიციო თემატიკა შემდეგია:

- ალ. ყაზბეგი – ბავშვობა, ყრმობა;
- ალექსანდრე ყაზბეგი და მისი ოჯახი (ყაზბეგთა გენეალოგია);
- ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებითი ცხოვრება:
- ლიტერატურული (გამოცემები, თარგმანები, ავტოგრაფები და სხვ.)
- ალ. ყაზბეგი ქართულ თეატრსა და კინემატოგრაფში.

II სართულის დარჩენილ ორ სივრცეში ექსპონირებული უნდა იყოს:

1. მცირე სივრცე

- კაბინეტი (მემორიალური ნივთებით – ალ. ყაზბეგის საწერი მაგიდა და სკამი, სარკე, საწოლი, წმ. გიორგის ნაქარგი ხატი და სხვ. ;
- ალექსანდრე ყაზბეგი და მისი ოჯახი (ფოტომასალა, ცნობები).

Touch-screen-ში ჩამონტაჟებული ელექტრონული საოჯახო ფოტოალბომი, ანოტაციების დართვით.

2. დიდი სივრცე

XIX საუკუნის დამახასიათებელი გარემოს რეკონსტრუქცია. ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებითი ცხოვრება - სალონური სივრცე

ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატურული შემოქმედება (გამოცემები, თარგმანები, ავტოგრაფები, უბის წიგნაკები და სხვ.);

- ალ. ყაზბეგი და თეატრი (აფიშები, პროგრამები, პიესები).
- ალ. ყაზბეგი და მისი თანამედროვე თეატრალური დასი (ფოტომასალა) ალ. ყაზბეგი და ქართული კინემატოგრაფი (მხატვრული ფილმი ელისო და ხევისბერი გოჩა); - ხევისბერი გოჩა (1964 წ.), მუსიკა რეზო ლაღიძე;

- სიცოცხლის ტრაგიკული დასასრული.

ამ ექსპოზიციის ორგანული ნაწილი უნდა იყოს სამუზეუმო სპეციფიკის გათვალისწინებით მომზადებული ფილმი - ალ. ყაზბეგი - პორტრეტი, რომელიც დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ასახავს მის არასტანდარტულ, წინააღმდეგობით აღსავსე პორტრეტს, ცხოვრების ეპიზოდებსა და შემოქმედებას. ჩვენს მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე, ალ. ყაზბეგის პორტრეტის ამსახველი წიგნისა და ფილმის სცენარის მომზადება ვთხოვეთ აკა მორჩილაძეს.

ამავე სივრცეში უნდა განვათავსოთ ინფორმაცია და ვიზუალური მასალა თემაზე -

ხევის სტუმრები - უცხოელი მოგზაურები და მათი ცნობები ხევის შესახებ

ანდრეი როზენი, გრიგორი მოსკვიჩი. რიჩარდ უილბრაჰამი, რობერტ კერ პორტერი, ბარონ დე ბაი, გიულდენშტედტი. ედუარდ აიხვალდი, გრაფი გუდოვიჩი, დე ბუა დე ფუა. კნუტ ჰამსუნი და სხვ.

ასევე, ხევთან მიმართებაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს ალ. პუშკინისა და მ. ლერმონტოვის შემოქმედებას.

ალ. პუშკინი და ხევი

ალ. პუშკინის პორტრეტი; პუშკინი და საქართველო; საინტერესო ეპიზოდები - პუშკინის შეხვედრა გაბრიელ ყაზბეგთან.

პუშკინის ხევთან დაკავშირებული შთაბეჭდილებები მის ნაწარმოებებში: *„Путешествие в Арзрум"*, *стихотворения „Кавказ"*, *„Обвал"*, *„на холмах Грузии"*, *„Кавказский пленник"* და სხვ.

მ. ლერმონტოვი და ხევი

პორტრეტი; ლერმონტოვი და საქართველო; საინტერესო ეპიზოდები.

ლერმონტოვის ხევთან დაკავშირებული შთაბეჭდილებები მის ნაწარმოებებში: „Мцыри", „Демон", „Герой нашего времени", „Спор", „Дары Терека", „Тамара", „Свиданье", „Спеша на север".

ამავე სივრცეში სასურველია აუდიო მასალის გამოყენება: მაგ. „На холмах Грузии" კითხულობს ი. სმაკტუნოვსკი. მუსიკა ნ. რიმსკი-კორსაკოვი, ასრულებს ფ. შალიაპინი 1913 წ. ექსპონირებული იქნება პუშკინთან დაკავშირებული ნივთები (ხმალი, 1822 წლის გამოცემა - „Кавказский пленник".).

ასევე, **ლერმონტოვის ჩანახატები** – სტეფანწმინდა, საქართველოს სამხედრო გზა ბალთასთან, დარიალის ხეობა და თამარის ციხე, სოფ. სიონის ხედი ხევიდან, ღადას სიმაგრე (სრულყოფილი ინფორმაცია გვაქვს მხოლოდ ლერმონტოვის ჩანახატით) და სხვ.

პუშკინ–ლერმონტოვის სივრცისთვის: გრამაფონი, ფირფიტა ან ფირფიტები; წიგნების ყდები; ფოტომასალა.

გვქონდა საქართველოში ღია ფონდსაცავის პრეცედენტის შექმნის სურვილი. თუმცა რომელიმე სივრცეში, მაგ. საბუნებისმეტყველო საექსპოზიციო სივრცესა და ფონდსაცავს შორის მინის ტიხარის გათვალისწინება, რაც დამთვალიერებელს საშუზეუმო საშზარეულოს ხილვის საშუალებას მისცემს, ეს განსაკუთრებით საინტერესო იქნება მოზარდებისათვის. ამავდროულად კარგი შესაძლებლობაა თანამედროვე ფონდსაცავის ილუსტრირებისა.

არსებული სივრცის სიმცირისა და ახალი საჭიროებების გაჩენიდან გამომდინარე მოსაზრება შევცვალეთ. დამატებითი სივრცის საჭიროება გააჩინა ყაზბეგის ბოტანიკური სტაციონარის შესახებ მოპოვებულმა ინფორმაციამ. სტაციონართან დაკავშირებით, ჩვენი ორგანიზაციის სახელით თანამშრომლობისათვის მივმართეთ ნ. კეცხოველის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტს.

ყაზბეგის გაუქმებული ბოტანიკური სტაციონარიდან ინსტიტუტის თანამშრომლების ძალისხმევით გადმოტანილია და თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტშია დაცული ყაზბეგის ჰერბარიუმის კოლექცია. შენარჩუნებულია ძველი ეტიკეტები. ეს მასალა სრულადაა დასკანერებული. ბოტანიკის ინსტიტუტში დაგვპირდნენ რეაბილიტაციის შემდგომ დასკანერებული მასალის სტეფანწმინდის მუზეუმისთვის გადმოცემას.

განადგურებას გადაურჩა სტაციონარის შთაბეჭდილებების წიგნი, რომელიც ინახავს უაღრესად საინტერესო ინფორმაციას და საუკეთესო პირველწყაროა სტაციონარის ისტორიისათვის.

ბოტანიკის ინსტიტუტის ყოფილ დირექტორს, ბ-ნ გ. ნახუცრიშვილს, ვთხოვეთ სტეფანწმინდის სტაციონარის ისტორიის დაწერა და ფოტომასალის დართვით მუზეუმისათვის მოწოდება. სტაციონარის ისტორია ელექტრონულ ფორმატში დაცული იქნება მუზეუმში.

ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომლები დაგვპირდნენ სტეფანწმინდის მუზეუმში დაცული ჩვენი ბოტანიკური კოლექციის გაცნობას, შეფასებასა და შესწავლას. შემდგომში თანამშრომლობის ფარგლებში მკურნალობასა და რესტავრაციას.

ამ გზით ჩვენ შევძლებთ მუზეუმში დაცული ბოტანიკური კოლექციის სრულფასოვან იდენტიფიკაციასა და მოწესრიგებას, ინვენტარიზაციასა და პასპორტიზაციას.

რესტავრაციის შემდგომ განხორციელდება ამ მასალის ფოტოფიქსაცია, საექსპოზიციო ექსპონატების შერჩევა, რესტავრაცია-კონსერვაცია, მოჩარჩოება, ხოლო დანარჩენი ნაწილის განახლებული ფონდსაცავის საცავებში განთავსება.

სტაციონარის შესახებ ინფორმაციის მოპოვების შემდეგ, მისი კოლექციის, ისტორიის, სამეცნიერო-საგანმანათლებლო მნიშვნელობიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ ჩვენს მუზეუმში შეგვექმნა ბოტანიკური სტაციონარის მცირე მოდელი.

ფონდსაცავის შენობის საგანმანათლებლო და ვიზიტორთა ცენტრის ადმინისტრაციულ სივრცეებში დამონტაჟებულ კომპიუტერებში ჩაიტვირთება სპეციალისტთა, ახალგაზრდა თაობისათვის, დაინტერესებული საზოგადოებისათვის საჭირო სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო ინფორმაცია, სამუზეუმო ფონდში დაცული საბუნებისმეტყველო (ჰერბარიუმები (მცენარეები და პეპლები), ზოო და მინერალოგიური) კოლექციების კატალოგები, პასპორტები, ფოტომასალა, ბოტანიკის ინსტიტუტში დაცული ყაბბეგის სტაციონარის კოლექცია, სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა, სტაციონარის ისტორია, ხევთან დაკავშირებულ მკვლევართა პროფესიული ბიოგრაფია, და სხვ. ეს მასალა იქნება მუდმივი შევსების რეჟიმში.

ამ გზით მუზეუმი შეიძენს დამატებით სამეცნიერო-საგანმანათლებლო ფუნქციას. ბოტანიკის ინსტიტუტთან თანამშრომლობით მუზეუმის ხშირი სტუმრები იქნებიან საბუნებისმეტყველო დარგის ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტები, რაც მეტად სიცოცხლისუნარიანსა და აქტიურს გახდის მუზეუმს.

სამუზეუმო კომპლექსის ერთი სივრცე უნდა დაეთმოს საბუნებისმეტყველო ექსპოზიციას. გამოიფინება მუზეუმის ფონდში დაცული ჰერბარიუმები (მცენარეები–პეპლები), მინერალოგიისა და ზოოლოგიის კოლექციები.

ამავე სივრცეში უნდა დამონტაჟდეს ეკრანი, სადაც იტრიალებს ხევის ბუნების ამსახველი, საინტერესო და ეფექტური, სამეცნიერო–პოპულარული მოკლემეტრაჟიანი ფილმი. აქვე დამონტაჟდება Touch-Screen –ი, სადაც ჩაიტვირთება, ბოტანიკური სტაციონარის შთაბეჭდილებების

წიგნის რედაქტირებული ვერსია, ფონდსაცავში დაცული ექსპონატების ანოტირებული კატალოგი და სხვ. საინტერესო საბუნებისმეტყველო ხასიათის ინფორმაცია.

ფონდსაცავის საბუნებისმეტყველო საექსპოზიციო სივრცე უაღრესად საინტერესო და ინფორმატიული იქნება ბავშვებისათვის. ამდენად, ის მნიშვნელოვანი იქნება საგანმანათლებლო თვალსაზრისითაც.

აქვე იქნება წარმოდგენილი **მედიცინა ხევში.**

მუზეუმი ფლობს მდიდარ ფოტოფონდს, რომელიც ფონდსაცავში განთავსდება. აუცილებელია ამ მასალის სისტემატიზაცია და დაცვის შესაბამისი პირობების შექმნა, ფოტომასალის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა. მუზეუმში დაცული ფოტომასალის მნიშვნელოვანი ნაწილი დაასკანერა ეროვნულმა ბიბლიოთეკამ და გადასცა მუზეუმს. უნდა შეიქმნას სრული ელექტრონული ფოტოფონდი, სადაც საკუთრივ სტეფანწმინდის მუზეუმის კოლექციის გარდა თავს მოიყრის ხევთან დაკავშირებული კერძო კოლექციები, ეროვნული ბიბლიოთეკის, ეროვნული არქივის და ეროვნული მუზეუმის მასალა. შესაძლებელია ელექტრონული ანოტირებული ფოტოალბომის შექმნა. ფონდსაცავში ასევე დაცულია პასპორტები მინის ნეგატივებით. მინის ნეგატივები შესასწავლი და სარესტავრაციო-საკონსერვაციოა.

ალპინიზმი ხევში - ეს თემა აუცილებლად გასათვალისწინებელია განახლებულ სამუზეუმო კომპლექში. თემის სპეციფიურობისა და სივრცის სიმცირის გამო ჯერჯერობით ადგილი ვერ შევარჩიეთ. ვფიქრობთ, ამ მიზნით ალ. ყაზბეგის მემორიალური სახლისა და ვიზიტორთა ცენტრის დამაკავშირებელ გვირაბის ფორმის ნაგებობაში განთავსებას. ეს სივრცეც, საბუნებისმეტყველო საექპოზიციო სივრცის მსგავსად საინტერესო და მიმზიდველი იქნება არა მხოლოდ ზრდასრული დამთვალიერებლისათვის, არამედ ბავშვებისთვისაც. მითუფრო თუ სამუზეუმო კომპლექსის ტერიტორიაზე განთავსდება ბავშვებისათვის კლდეზე ცოცვის ატრაქცია.

ფუნქცია - საინფორმაციო ცენტრი, საზოგადოებრივ-შემეცნებითი, კაფე (დასურული და ღია), ამავე კაფეში სუვენირებისა და წიგნების მაღაზიის სივრცე, ინტერნეტით უზრუნველყოფა.

ამ შენობის ცენტრალურ სივრცეში მთავარ კედელსა და მის გაგრძელებაზე უნდა დამონტაჟდეს მუზეუმში დაცული რესტავრირებული გველეთის ფრესკები. ერთდროულად მიიღწევა რამდენიმე მიზანი - ფრესკებს ჩაუტარდება სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები, სამომავლოდ დაცული იქნება და დამთვალიერებლისათვის მისაწვდომი; ასევე, ამავე სივრცეში შემინულ ვიტრინებში, მყარ სადგარებზე განთავსდება მუზეუმში დაცული გარბნის ასომთავრულ წარწერიანი და ორნამენტებიანი ქვები.

ასევე, უნდა დამონტაჟდეს დიდი, ჭერიდან დაშვებული, ჰაერში დაკიდებული ეკრანი, რომელზეც წარმოდგენილი იქნება: **ხევი - ელექტრონული რუკა** (google-map-ის ტიპის) უნივერსი, საქართველო, ხევი. სამხედრო გზა და ა. შ. **ანუ სად ვართ**; ასევე, **ხევის გიდი - სარეკლამო რგოლი** - რა საერო და სასულიერო დანიშნულების ღირსშესანიშნაობებია სანახავი ხევში, ინფორმაცია ტურისტული და ალპინისტური ტურების, სასტუმროების,

კვების ობიექტების შესახებ. დაბოლოს რეკლამები. რაც დამატებითი შემოსავალს შესძენს მუზეუმს;

ამავე სივრცეში მცირე ზომის ელექტრო-მონიტორში (შესაძლოა რამდენიმეში) ჩამონტაჟებული უნდა იყოს **მუზეუმის გიდი - სამუზეუმო კომპლექსის მარშრუტი;**



კაფე - (დახურული და ღია)

ამავე შენობას ექნება ორი ტიპის – დახურული და ღია კაფე, დახურული შიდა სივრცეში და ღია ამავე შენობის სახურავზე მოწყობილ ტერასაზე.

- **შიდა სივრცეში არსებული კაფე საინფორმაციო სივრცის შემადგენელი ნაწილია. ეს კაფე არ უნდა იყოს მხოლოდ წახემსების საშუალება. აქ განთავსდება სუვენირებისა და წიგნების მაღაზია. ამ სარეალიზაციო სივრცეში ხარისხიანი პროდუქცია უნდა იყოს წარმოდგენილი (წიგნები, ალბომები, ბროშურები, დისკები (ფილმები, ფოლკლორი, აუდიო-ვიდეო), სუვენირები (ბეჭდური (ღია ბარათები, სანიშნები), ადგილობრივი და არაადგილობრივი რეწვის ნიმუშები, და სხვ.);**

- **ვიზიტორმა კომფორტულად უნდა იგრძნოს თავი, მას უნდა ჰქონდეს როგორც წახემსებისა და დასვენების, ისე მუშაობის, ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა, ამავე სივრცეში სუვენირებისა და წიგნის მაღაზიაში არსებული პროდუქციის მშვიდად გაცნობის საშუალება.**

ღია კაფე

ღია კაფე გათვალისწინებულია ამავე შენობის სახურავზე. აქედან იშლება გერგეტის სამების უშშვენიერესი ხედი. უნდა მოეწყოს გამწვანებული ტერასა.

სასურველია ღია კაფე მთელი წლის მანძილზე, მეტეოპირობების მიუხედავად იყოს მოქმედი (შეიმინოს ნაწილობრივ). ვიზიტორს ჰქონდეს ზამთარ–ზაფხულ მზეზე გარუჯვის შესაძლებლობა. ამავე ტერასაზე შესაძლებელია ფასიანი სტაციონარული ჯოგრიტის დამონტაჟება (დამატებითი შემოსავალი მუზეუმს).

ღია კაფესთანვე – ვიზიტორთა ცენტრისა და ფონდსაცავის შენობებს შორის უნდა გაკეთდეს საბავშვო–საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არქეოლოგიური მოედანი, აქვე კარგი იქნება მცირეწლოვანი ბავშვებისათვის ქვიშის მოედნის მოწყობა (ბავშვი გაერთობა, მშობელს კი ღია კაფედან თვალყურის დევნების საშუალება ექნება). ასევე, არქეოლოგური მოედნის სიახლოვეს შესაძლებელია ბავშვებისათვის ალპინისტური კედლის დამონტაჟება – შეიქმნება ალპინიზმთან დაკავშირებული საიტი.

ეს კაფეები კარგი საშუალებაა ვიზიტორთა კომფორტული მომსახურებისა, რომ მათ მეტი დრო დაყონ სამუზეუმო კომპლექსში, შესაბამისად დახარჯონ მეტი თანხა, რაც თავის მხრივ შესაბამისად აისახება მუზეუმის შემოსავალზე.

რეკომენდაციები სამუზეუმო კომპლექსის სრულფასოვანი განვითარებისა და ფუნქციონირებისათვის:

1. მასალა ელექტრონული ფორმატისათვის:

მოსამზადებელია ხევის შესახებ სრულფასოვანი სამეცნიერო და პოპულარული ინფორმაციის შემცველი ელექტრონული ვერსია, კერძოდ:

1. ბიბლიოგრაფია ხევის შესახებ;
2. სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმის ისტორია (სტეფანე ალიბეგაშვილის ღვაწლი);
3. კოლექციების ანოტირებული კატალოგები (გეოლოგია, არქეოლოგია, ისტორია, ეთნოლოგია, ნუმიზმატიკა, იარაღი, საბუნებისმეტყველო, ფოტოფონდი);
4. საინვენტარო წიგნები, პასპორტები;
5. ბოტანიკური სტაციონარის ისტორია და სტაციონარის შთაბეჭდილებების წიგნი, ყაზბეგის სტაციონარის ჰერბარიუმის კოლექცია;
6. აუდიო მასალის ბაზა;
7. ალ. ყაზბეგთან და ხევთან დაკავშირებული სპექტაკლები, ფილმები (დოკუმენტური, მხატვრული);

აღნიშნული ელექტრონული მასალა ჩაიტვირთება მუზეუმის, ფონდსაცავის და ადმინისტრაციულ სივრცეში განთავსებულ კომპიუტერებსა და Touch Screen-ებში. ეს მასალა ადვილად მისაწვდომი იქნება შესაბამისი დარგობრივი სპეციალისტებისა და დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

2. შესაქმნელია მუზეუმის წიგნადი ფონდი (ბიბლიოთეკა). შესყიდვისა და შემოწირულობის გზით, უნდა აღდგეს მუზეუმის ბიბლიოთეკა.

3. გამოცემები:

სასურველია გაგრძელდეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სამუზეუმო მიმართულების ყოველწლიური სერიების სახით ინიცირებული პროექტები, რომელთა განხორციელების შედეგადაც, სერიით *„მუზეუმი, ისტორია, არტეფაქტი"* აკა მორჩილაძის ავტორობით, გამოიცემა ალ. ყაზბეგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნი სათაურით *„ალექსანდრე ყაზბეგი"* და სერიით *„მუზეუმებისა და არქივების კოლექციებიდან"* ნინო შიოლაშვილის ავტორობით, წიგნი „კავკასიის კარი – Porta Caucasia". მომდევნო პროექტებად ვითვალისწინებთ შემდეგი გამოცემების თანდათანობით განხორციელებას:

1. კატალოგი „ყაზბეგის განძი";
2. ალბომი „მოხევური კოსტიუმი";
3. ხევის ეთნოკულტურა - ვ. ითონიშვილის ნაშრომების კრებული;
4. ჰერბარიუმების ანოტირებული ალბომი;
5. ბოტანიკური სტაციონარის ისტორია;
6. ალპინიზმის ისტორია;
7. მოხევური ფოლკლორი.

სამუზეუმო ფილმები:

- ხევის შესახებ საინფორმაციო სივრცისთვის გათვალისწინებული საინფორმაციო ხასიათის სარეკლამო რგოლი;
- ალ. ყაზბეგის მემორიალური სახლის სივრცისთვის აკა მორჩილაძის სცენარის მიხედვით სამუზეუმო ფილმი – ალ. ყაზბეგი – პორტრეტი;
- ეთნოგრაფიული სივრცისთვის დოკუმენტური ფილმი - ხევი, სადაც აისახება მოხევური ეთნოკულტურა, ფოლკლორი, ტრადიციები და რიტუალები, დღესასწაულების ხასიათი, მუსიკა, ცეკვა).
- ფონდის საექსპოზიციო სივრცისთვის ხევის ბუნების ამსახველი, საინტერესო და ეფექტური, სამეცნიერო–პოპულარული მოკლემეტრაჟიანი ფილმი;

სუვენირები:

ადგილობრივი ეთნოკულტურიდან, საგანმანათლებლო და არამატერიალური კულტურის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასურველია, სამუზეუმო კომპლექსის სივრცეში ტრადიციული რეწვის სახელოსნოს ფუნქციონირება (თექა, ქსოვა, ხეზე კვეთა, ასევე ჰერბარიუმების დამზადება, ფოლკლორი). ამ სივრცეში შესაძლებელი იქნება ადგილობრივი რეწვის ოსტატების თავმოყრა, მათი ცოდნის მომავალ თაობებისათვის გადაცემის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვა, ასევე დროდადრო მათი ნაშუშევრების გამოფენების მოწყობა;

ვიზიტორს შესაძლებლობა მიეცემა ცოცხლად იხილოს ამა თუ იმ ექსპონატის დამზადების პროცესი, რაც თავის მხრივ გაზრდის ინტერესს და რეალიზაციის ალბათობას. ტრადიციული დარგების შენარჩუნება–გადარჩენის, მომავალი თაობებისათვის ცოდნის (თექა, ხის კვეთა, ქსოვა)

გაზიარების გარდა, ეს კარგი საშუალებაა ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური ყოფის გაუმჯობესებისათვის.

- სამუზეუმო ფონდები მისაწვდომი იქნება ადგილობრივი ოსტატებისათვის - სამუზეუმო კოლექციების საფუძველზე დამზადდება სუვენირები, რომელთა რეალიზაცია მოხდება კომპლექსის ვიზიტორთა ცენტრის სასუვენირო სივრცეში.

უნდა დამზადდეს მარკეტინგული და ესთეტური თვალსაზრისით სწორად შერჩეული ხარისხიანი სასუვენირე (მათ შორის ბეჭდური - მრავალენოვანი კატალოგები-ფლაერები) პროდუქცია.

ფოლკლორული ფესტივალი

სამუზეუმო კომპლექსში სასურველია ადგილობრივი ფოლკლორული ფესტივალის ტრადიციის დანერგვა (ხევის რომელიმე დღესასწაულთან დაკავშირებით). ასეთი სახის ღონისძიება კარგი საშუალებაა ეთნოკულტურის პრეზენტირება-რეკლამირებისათვის (ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, ბაზრობა, სამზარეულო, მუსიკალურად გაფორმებული კოსტიუმირებულ-თეატრალიზებული წარმოდგენები, მოხეური ცეკვა-თამაში).

დამატებითი რეკომენდაცია:

- სასურველია და კარგი პრეცედენტი იქნება საქართველოს მუზეუმების ურთიერთ თანამშრომლობისა ვაჟა-ფშაველასთან დაკავშირებული ნივთების ვაჟას მემორიალური მუზეუმისათვის გადაცემა;
- გადასარჩევია ფონდსაცავში დაცული მასალა, ჩამოსაწერია აქ დაცული არაფასეული მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი.

კონცეფციის მომზადებისას მოძიებული და დამუშავებულია საქართველოს ეროვნულ არქივში, ხელოვნების სასახლეში, გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობისა და შ. ამირანაშვილის სახელობის, სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმების ფონდებსა და შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დაცული მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი (დოკუმენტი, არტეფაქტი, გამოყენებითი და სახვითი ხელოვნების ნიმუშები); დამუშავებულია საისტორიო და ლიტერატურული წყაროების დიდი ნაწილი; მოპოვებულია საქართველოს ეროვნული არქივის, გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტოფონდებში დაცული საარქივო ფოტომასალა.

სივრცეების ინტერიერისა თუ ექსტერიერის დიზაინის ნიმუშებად გამოყენებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში თვინინგის ფარგლებში ჩატარებულ ვორქშოპში გამოყენებული იტალიელი არქიტექტორ-დიზაინერის ჯანი ბულიანის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მესტიის მუზეუმის ინტერიერისა და ინტერნეტიდან მოპოვებული მასალები.

ნაშრომი მცდელობაა სტეფანწმინდის სამუზეუმო კომპლექსის სპეციფიურობისა და სირთულეების, მუზეუმში დაცული არაერთგვაროვანი კოლექციების გათვალისწინებით, სამეცნიერო კვლევაზე დაყრდნობით, მაქსიმალურად საინტერესო და ეფექტური ინტერპრეტაციის შემოთავაზებისა.

მასში ასევე ასახულია რეკომენდაციები განახლებული მუზეუმის სრულფასოვანი, წარმატებული ფუნქციონირებისათვის. ჩვენი, როგორც სამუზეუმო მიმართულებისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, წარმოდგენილია ძირითადი საექსპოზიციო თემატიკა და ეფექტური ექსპონირების ხერხები.

სამუზეუმო კომპლექსში გათვალისწინებულია საექსპოზიციო, საინფორმაციო-საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო სივრცეები (საბუნებისმეტყველო, რეწვა), ასევე ატრაქციები ბავშვებისათვის არქეოლოგიური მოედნისა და ალპინისტური კედლის სახით, ღია და დახურული კაფეები.

განახლებული სამუზეუმო კომპლექსი ხევის უმთავრეს ცოცხალ კულტურულ ცენტრად იქცევა, სადაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების (გამოფენები, კონფერენციები, შემოქმედებითი საღამოები, საქმიანი შეხვედრები) ჩატარება.

ყოველივე ზემოხსენებული მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ხევში ტურიზმის ზრდას, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება ქვეყნის სამომავლო ეკონომიკურ განვითარებაზე.

Summary

EKA KACHARAVA

National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, Museum Department, Doctor of History

Re-exposition of Stepantsminda Museum of History and prospects for development of the Museum - opinions

Stepantsminda Museum of History located in the borough Kazbegi is the only mean of provision of information about the ancient history, culture and traditions of Khevi. As a result of the rehabilitation works of the museum complex, we will have three separate premises with different functional assignment: 1. Memorial Museum, which deriving from the context of the collections will also exercise the function of the Museum of Local History; 2. Visitors' Center, envisaging administrative and public areas, multi-functional café (with souvenirs and book sale corner with wi-fi); and 3. Fund Depository, envisaging the exposition area within. The museum complex territory will also host the ancestral Church and cemetery of Kazbegi family. The report mostly emphasizes acknowledgement of the research and survey material of the period of preparation of Stepantsminda Museum of History for re-exposition in complex context, offer of distribution of the artifacts in the exhibition areas and thematic interpretations, as well as opinions and approaches about effective visualization methods. The primary task is to convert the Museum into the main cultural-educational center with functional assignment and equipped with improved infrastructure. The Article aspires, taking specifications and complications of Stepantsminda Museum of History and the non-homogenous collections kept therein into account, based on the scientific studies, to offer at maximal extent interesting and effective interpretation. The Paper reflects the recommendations for successful and effective functioning of the renewed Museum. Taking our experience in Museum sphere and international experience into account, the Article provides main exposition thematic and means of effective exposition. The Museum complex envisages the exhibition, informative-public and educational areas (natural sciences, craft), as well as attractions for children in capacity of the archeological sites and climbing wall, as well as open and close cafés. The renewed Museum complex will become the vivid cultural center of Khevi allowing holding of various events (exhibitions, conferences, recitals, business meetings). All these factors will facilitate to tourism development in Khevi which in its turn will have the positive impact on economic development of the country.